ზოოპარკი და კომპლექსური დავალება

ავტორი: მანანა სეხნიაშვილი

ბავშვობაში ისე მიყვარდა შაბათ-კვირის ოჯახური სეირნობები, რომ ზოოპარკსა და ცირკში სტუმრობაზეც თანახმა ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ არ მომწონდა არც ზოოპარკის და არც ცირკის სუნი. ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, როცა ქალაქგარეთ მივდიოდით. დიდხანს გამომყვა ის უცნაური შეგრძნება, რომელიც გალიებში მყოფი ცხოველების დანახვისას მეუფლებოდა. განსაკუთრებით მაღიზიანებდნენ მაიმუნების გალიებთან მდგომი მოღიმარი ადამიანები, რომლებიც ცხოველებს საკვებს აწვდიდნენ და აღტაცებით უყურებდნენ, როგორ შეექცეოდნენ ისინი კანფეტებსა თუ ორცხობილებს. მაიმუნებს გულში პატიებას ვთხოვდი და ვნატრობდი, კარის გაღება და მათი გათავისუფლება შემძლებოდა.

დიდხანს არ ვიცოდი ზოოპარკების დანიშნულება. არც არავის აუხსნია, ვიდრე სკოლაში არ დავიწყე მუშაობა. ამიტომაც მინდა, მოკლედ გაგაცნოთ ზოოპარკის განვითარების გზა და მისი როლი ბიომრავალფეროვნების გადარჩენაში.

„ზოოპარკებს თანამედროვე სამყაროში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია: განათლება, კონსერვაცია (ცხოველთა გენოფონდის შენარჩუნება), რეინტროდუქცია (სახეობების ბუნებაში დაბრუნება), ცხოველთა ქცევისა და ბუნებაში არსებული სიტუაციის შესწავლა“, – წერია თბილისის ზოოპარკის ფეისბუქგვერდზე.

ზოოპარკის დანიშნულებასა და როლზე საუბრობს ჯეინ გუდალი (ცნობილი ინგლისელი კონსერვაციონისტი, პრიმატოლოგი და ანთროპოლოგი, რომელმაც მთელი სიცოცხლე ველურ ბუნებაში შიმპანზეების შესწავლას მიუძღვნა). „არსებობს მოსაზრება, რომ ცხოველი ველურ ბუნებაში უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე ზოოპარკში“, – წერს ის და დასძენს, რომ ზოოპარკებს უდიდესი როლი აკისრია კონსერვაციის, ადამიანების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების საქმეში.

ლონდონის ზოოპარკი მსოფლიოში უძველესი სამეცნიერო პარკია. იგი ჯერ კიდევ 1849 წელს გაიხსნა.

გაერთიანებული სამეფოს ყველა ზოოპარკი იძულებული გახდა, მარტში დროებით დახურულიყო კორონავირუსის პანდემიის გამო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ლონდონის ზოოპარკმა კარი ჩაკეტა.

სერ დევიდ ეტენბორომ, ცნობილმა ბრიტანელმა ბუნებისმეტყველმა და მეცნიერმა, ველური ბუნების შესახებ გადაღებული არაჩვეულებრივი ფილმების ავტორმა და წამყვანმა, ლონდონის ზოოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრმა, თხოვნით მიმართა საზოგადოებას, დახმარებოდა ლონდონისა და ვიპსნეიდის ზოოპარკების დახურვისგან გადარჩენაში.

©განათლების e- სახლი

BBC-ს დოკუმენტური ფილმების სერიის „პლანეტა დედამიწის“ შემქმნელმა ხმა მისცა სატელევიზიო მიმართვას, რომლითაც ითხოვენ ფულის შეგროვებას ლონდონის ზოოლოგიური საზოგადოებისთვის.

კიდევ შეიძლება მაგალითების მოყვანა, თუმცა ამას უკვე თავად მოსწავლეები მოახერხებენ კომპლექსურ დავალებაში, რომლის პირობასაც აქვე გთავაზობთ.

საკითხი: ზოოპარკი – ველური ბუნების მცველი

კომპლექსური დავალება: ვირტუალური ზოოპარკის მაკეტის შექმნა კონსერვაციის, ადამიანების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი (**გეო. საბ. 4, 5, 7, 9, 11, 12);** მდგრადი განვითარება (**გეო. საბ. 11, 12, 13);** გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი (**გეო. საბ. 1, 2, 3)**

საკვანძო კითხვები:

- როგორ წარმოვაჩინო მაკეტის დახმარებით ზოოპარკების როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში?
- როგორ დავარწმუნო მოწინააღმდეგეთა ჯგუფი, რომ ზოოპარკები მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად?

ზოოლოგიური და ბოტანიკური პარკები სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებია. ზოოპარკებში – ვოლიერებში, გალიებში ან ბუნებრივ გარემოს მიმსგავსებულ დიდ ფართობებზე – სადემონსტრაციოდ, სამეცნიერო მიზნით ან გასამრავლებლად ჰყავთ გარეული ცხოველები. სწავლობენ ცხოველთა ბიოლოგიას, სამეურნეო მნიშვნელობას, პროპაგანდას უწევენ მათ დაცვას. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ექცევა გადაშენების გზაზე მდგომი ცხოველების დაცვასა და მოშენებას. მაგალითად, სწორედ ზოოპარკის პირობებში გადაურჩა ამოწყვეტას პრჟევალსკის ცხენი (მისი ერთი ეგზემპლარი დღეს თბილისის ზოოპარკშიც ჰყავთ), ჰავაიური ღერღეტი და სხვ.

©განათლების e- სახლი

XX საუკუნის დასაწყისში ზოოპარკის არსებობის ისტორიაში პირველი მნიშვნელოვანი რევოლუციური ცვლილება მოხდა – გალიები ცხოველთა საბინადრო გარემოს მიხედვით შექმნილი ვოლიერებით შეიცვალა.

ზოოპარკებში იმართება შემეცნებითი ექსკურსიები, ლექციები, საგანმანათლებლო ჩვენებები, გამოფენები, თეატრალური და მუსიკალური წარმოდგენები ღია ცის ქვეშ და სხვ.

წარმოიდგინე, რომ შენს ქალაქში ახალი ზოოლოგიური პარკი იხსნება და შენ მისი დირექტორი ხარ.

შენი ამოცანაა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით და ზოოპარკის გახსნის მოწინააღმდეგებისთვის აზრის შესაცვლელად განახორციელო შემეცნებითი/სასწავლო პროექტი. კრიტიკული ეკორეგიონების ინტერაქციული რუკის დახმარებით შეარჩიე აზიაში ადამიანის მიერ ყველაზე მეტად ათვისებული და სახეშეცვლილი ბუნებრივი ზონა და შექმენი ზოოპარკისთვის მწვანე კუთხე, სადაც წარმოდგენილი იქნება ბუნებრივი ზონა მისთვის დამახასიათებელი ცხოველებითა და შესაბამისი ბუნებრივი საარსებო გარემოთი. მწვანე კუთხე შეგიძლია წარმოადგინო როგორც მაკეტის სახით, ისე პროგრამა მაინკრაფტში.

მწვანე კუთხის შექმნისას წარმოაჩინე:

- რა როლს ასრულებს ზოოპარკი ველური ბუნების გადარჩენაში;
- რა თავისებურებები და კანონზომიერებები ახასიათებს აზიის (შენ მიერ შერჩეული) ბუნებრივი ზონების განლაგებას;
- როგორი ეკოლოგიური მდგომარეობაა ადამიანის მიერ ყველაზე მეტად ათვისებულ და სახეშეცვლილ ბუნებრივ ზონებში;
- რატომ არის მნიშვნელოვანი აზიის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება მდგრადი განვითარებისთვის;
- რა როლს ასრულებს ზოოპარკები რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრებაში.

გამართე მწვანე კუთხის პრეზენტაცია და განიხილე შენ მიერ ჩატარებული კვლევა.

პრაქტიკული რჩევები

- ტექსტზე მუშაობისას და კრიტიკული ეკორეგიონების ინტერაქციული რუკის განხილვისას ყურადღება გაამახვილე ეკორეგიონის ლანდშაფტის ჩამოყალიბების ფაქტორებზე; ჩაინიშნე, რა ტიპის ლანდშაფტია მოცემული, რა მნიშვნელობა აქვს ველურ ბუნებას და ახსენი, რატომ შეარჩიე კონკრეტულად ეს რეგიონი.
- მოიძიე დამატებითი რესურსები, ფოტოები, ტექსტები, რუკები, ნახატები, ილუსტრაციები.

©განათლების e- სახლი

- გაეცანი მსოფლიოს საუკეთესო ზოოპარკებს – https://zooclub.ambebi.ge/zuu/saintereso/3518-msoflios-saukethesо-zooparkebi-i-natsili.html – და ახსენი, რატომ შეარჩიე წარმოდგენილი მცენარეები და ცხოველები.
- აღნიშნე, აზიის რომელი ქვეყნების ტერიტორიებზეა გავრცელებული შენ მიერ შერჩეული ბუნებრივი ზონა, რომელი ქვეყნის ტერიტორიიდან რომელ ცხოველს წამოიყვან და რომელ მცენარეს წამოიღებ.
- შეადგინე გეგმა, როგორი თანმიმდევრობით განალაგებ ბუნებრივ ზონაში გავრცელებულ მცენარეებსა და ცხოველებს.
- გაითვალისწინე სიმაღლებრივი სარტყლურობა აზიის კონტინენტზე.
- ბუნებრივ ზონაში ჩახატე ამ ზონისთვის დამახასიათებელი სურათი, მაგალითად, ზაფხულის ტუნდრა, ზამთრის ტაიგა, რომელიმე ტიპური მცენარე ან ცხოველი და ა.შ.
- ახსენი, რატომ გვხვდება ზომიერ სარტყელში რამდენიმე ბუნებრივი ზონა.
- აღწერე, აზიაში რომელი ბუნებრივი ზონაა ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისთვის ხელსაყრელი და რატომ.
- როგორ ფიქრობ, რატომ გვხვდება ტყესტეპები, სტეპები, ნახევარუდაბნოები და უდაბნოები აზიის მხოლოდ შიდა რაიონებში?

მწვანე კუთხის მოსაწყობად გაეცანი რესურსებს:

თბილისის ბოტანიკური ბაღი – https://georgiantravelguide.com/ka/tbilisis-botanikuri-baghi

თბილისის ზოოპარკი – http://www.zoo.ge/

რატომაა ზოოპარკები კარგი, უფრო სწორად, საჭირო

ზოოპარკების დანიშნულება

http://forestry.ge/ge/kviris-tema/31023-ra-aris-biomravalpherovneba https://zooclub.ambebi.ge/zuu/zooparki/6678-thbilisis-zooparki-hipopotami-begisthvis-qcolebsq-chamoiyvans-qgvinda-rom-gavamravlothq.html

https://www.facebook.com/TbilisiZoo/posts/10159306532399575/

ვფიქრობ, ამ კომპლექსური დავალებით მოსწავლეებს გავუღვივებთ გარემოზე პასუხისმგებლობას და ზოოპარკის შესახებ არსებულ სტერეოტიპებსაც დავამსხვრევთ.

©განათლების e- სახლი